განმცხადებელი: გიორგი ტუმასიანი

თარიღი: 12-04-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: მთავარი არხი

სადავო მასალა: https://mtavari.tv/news/119334-srola-somkhet-azerbaijanis-sazghvarze?fbclid=IwAR0hWkdEC7AlyZegUsG1V9-cW6CHLy1uKZZ7JiuAZceWkFcZCPz7CdYTlL0

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: მთავარი არხის სტატიაში "სროლა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე" მოცემულია მხოლოდ აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადება და არ არის მოცემული სომხეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადება, რაც არღვევს საზოგადოების უფლებას მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რადგან ცალმხრივად ხდება ფაქტის გაშუქება, მაშინ როდესაც: - არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, რომ 2020 წლის ომში მარცხის შემდეგ, აზერბაიჯანი ცდილობს სულ უფრო მეტის მიღებას სომხეთისგან, მათ შორის სამხედრო ზეწოლის გზით. - ცივილიზებულმა სამყარომ აღიარა, რომ 2022 წლის 13-14 სექტემბრის თავდასხმა იყო აზერბაიჯანის მხრიდან სომხეთის სუვერენულ ტერიტორიებზე თავდასხმა. - 28 მარტს, 2 კვირის წინ: „ამ დილით სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კარენ დონფრიდი საგარეო საქმეთა მინისტრ ბაირამოვს ესაუბრა და შეშფოთება გამოხატა აზერბაიჯანის სამხედრო გადაადგილების გამო." https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-march-27-2023/?fbclid=IwAR1greUTlkoL024hcnFHZT22vM-qcUnCWQmSKPZ2kezQEKwKfc1eK_mtBPo#post-433188-Arneniaazerbaijan - სომხეთის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვართან მოქმედებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (საქართველოში არსებული მისიის მსგავსი), აზერბაიჯანმა მსგავს მისიაზე უარი თქვა.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები